



						
მათემატიკა	ბუნებისმეტყველება	ტექნოლოგიები	ინჟინერია	ხელოვნება	სპორტი	ლიტერატურა
X		X		X		

მიმართულება :გეომეტრია	სამიზნე ცნება: გეომეტრიული ობიექტები	მაკრო ცნება: გეომეტრიული მოდელები	კლასი: 2-3 დრო: 2 კვირა
ასწავლო თემა:გეომეტრიული ობიექტები			
საკითხები: ფიგურები 1. მრავალკუთხედები 2. ბრტყელი ფიგურები: წერტილი, მონაკვეთი, ტეხილი, მრუდი წირი 3. ფიგურის შიგა და გარე არეები, ფიგურის საზღვარი; 4. საერთო საზღვრის მქონე ფიგურები, მათი საერთო გვერდები და წვეროები;		საკვანძო კითხვები: - როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისგან გეომეტრიული ფიგურები? - როგორ გამოვიყენო გეომეტრიული ფიგურების ცოდნა პრაქტიკულად?	
პროექტი: როგორ შევადგინოთ სხვადასხვა ფიგურები გეომეტრიული ობიექტებით?			
მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან: მათ.დანყ.(I).5,13			
21- ე საუკუნის მისაღწევი შედეგი კრეატიული აზროვნება ტექნოლოგიების გამოყენება			

დავალების
პირობა:

ტანგრამი - თავსატეხი.

გაეცანით ვიდეოს და გაიგეთ მეტი ტანგრამზე. ტანგრამი არის გეომეტრიული ობიექტებისაგან შემდგარი თავსატეხი. მოცემული ფიგურებისაგან შესაძლებელია სხვადასხვა სახალისო ფიგურების შედგენა [გაეცანით ვიდეოს, რა არის ტანგრამი](#)

დავალება 1


კარდონისაგან დაამზადე ტანგრამი



ასევე დაამზადეთ, სხვადასხვა რაოდენობის გეომეტრიული ფიგურები (რთული ვერსია)



დამზადებული ფიგურებით შეადგინეთ სხვადასხვა ფიგურები. შემდეგ, გადაუღეთ ფოტო, შეინახეთ ვორდის ფაილში და თითოეული ფიგურის ქვემოთ დაწერეთ რომელი გეომეტრიული ობიექტებით მიიღეთ შესაბამისი ფიგურა.





იდეები შეგიძლიათ ნახოთ ლინკზე <https://cannonpark.edublogs.org>


დავალება 2 - შედარებით რთული ვერსია

შედიოთ საიტზე MATHIGON.ORG

[Mathigon - Geometry- Tangram](#)

ნაბიჯი 1 - საიტზე შესვლის შემდეგ ნახეთ ვისეო ინსტრუქცია

[როგორ ვიმუშავოთ MATHIGON - ზე](#)



ნაბიჯი 2 - აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ნებისმიერი ნახატი. (შეგიძლიათ თქვენი სურვილით შექმნათ ნებისმიერი ფიგურა, ცხოველის, სათამაშოს, მცენარის და ა.შ. მსგავსი)

შექმენით მისი მსგავსი კომპიუტერის მეშვეობით;

შეინახეთ თქვენი ნამუშევარი;

თითოეულის გვერდით დაწერეთ, რომელი ფიგურებისაგან შედგება თვენს მიერ შერჩეული ობიექტი.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რომ ჩვენს გარშემო და გარემომცველ ბუნებაში არსებულ უამრავ საგანს გეომეტრიული ფიგურების ფორმა აქვს და რომელი გეომეტრიული ფიგურები გამოიყენეთ მოცემული დავალების შესასრულებლად?



	- რა საერთო და რა განმასხვავებელი ნიშან-თვისებები გააჩნია თქვენ მიერ გამოყენებულ ფიგურებს? - მოიფიქრე და გააკეთე შენი სათამაშო , რომელის ეწყობა არამართო სამკუთხედებითა და ოთკუთხედებით , არამედ სხვა გეომეტრიული ფიგურებით. - დაახასიათე თითოეული შენს მიერ შექმნილი ობიექტი, რამდენი წვერო აქვს? რომელი გეომეტრიული ობიექტებისაგან შედგება შენს მიერ შექმნილი(აგებული) ფიგურა? - დაასახელე ფიგურების საერთო გვერდები - რისი ფორმა აქვს შენს მიერ შექმნილ ობიექტს? - რა არის ფიგურის /ობიექტის საზღვარი?
რეკომენდაციები მოსწავლეს	ტანგრამი - თავსატეხი. გაეცანით ვიდეოს და გაიგეთ მეტი ტანგრამზე. ტანგრამი არის გეომეტრიული ობიექტებისაგან შემდგარი თავსატეხი. მოცემული ფიგურებისაგან შესაძლებელია სხვადასხვა სახალისო ფიგურების შედგენა ტელეგაკვეთილი - ტანგრამი ვიდეო გაკვეთილი გაეცანით ვიდეოს, რა არის ტანგრამი როგორ ვიმუშავოთ MATHIGON - ზე , ვიდეო ინსტრუქცია როგორ იმუშაოთ Mathigon-ზე .ვიდეო ინსტრუქცია 2

შეფასება

მეთოდები/ სტრატეგიები ცოდნის შესაფასებლად	პროცესში შეფასება შეიძლება მოხდეს SOLO ტაქსონომიის მიხედვით, რაც გულისხმობს Structure of learning outcomes ; ასევე მასწავლებელს შეუძლია შეიმუშავოს შეფასების რუბრიკა; შეფასების სახეები/ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები: - ქვიზი - სადიაგნოსტიკო ტესტი
---	---



	• დიაგრამით, ცხრილით ნასწავლის დემონსტრირება • რამდენიმე სიტყვით შეაჯამე რა იყო ძირითადი იდეა • 1 წუთიანი შეჯამება - სიტყვიერი ან წერილობითი • დისკუსია, განხილვა წყვილებში • მოსწავლის თვითშეფასება • მოსწავლეების მიერ ერთმანეთის შეფასება • სასწავლო თემის შემაჯამებელი ტესტი • ...
მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან:	მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან: მათ.დანყ.(I).5,13 მათ.დანყ.(I).5 ფიგურების იდენტიფიკაცია, კლასიფიცირება, გამოსახვა. მათ.დანყ.(I).13 მოსწავლემ უნდა შეძლოს ყოველდღიური ცხოვრებიდან ან ბუნებისმეტყველების დარგებიდან მომდინარე მარტივი ამოცანების ამოხსნა. 21- ე საუკუნის მისაღწევი შედეგი კრეატიული აზროვნება ტექნოლოგიების გამოყენება
შეფასება	მოსწავლეს შეუძლია: • მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს გარშემო და გარემომცველ ბუნებაში არსებულ უამრავ საგანს გეომეტრიული ფიგურების ფორმა აქვს; • გეომეტრიული ფიგურების ერთმანეთისგან გარჩევა ნიშან-თვისებების მიხედვით. • გეომეტრიული ფიგურების თვისებების გამოყენებით, გეომეტრიული ობიექტებისა და მოდელების აგება.